



# მეცტერი



საყოველ-გვიწინა ლიტერატურული და მხატვრობითი გაზეთი.

11 მაისი

გ ა მ ო ო ც ე მ ა

№ 19

ა ვ ი რ ა ო ბ ი თ

1896 წელსა.

ფასი „მეცტერი“-ს წლით სუთი (5) მანეთი, ნახევარ წლით სამი (3) მანეთი, სხვაგანით ხელის მოწერა არ მაადგება. ცალკე ნომერი „მეცტერი“-სა დარს სამი შაურა. ხელის მოწერა მიიღეს: თბილისში „მეცტერი“-ს რედაქციაში და ქუთაისში მმ. ჭავჭავაძის წიგნის მაღაზიაში. გარეშე მისივანეთისთვის: დრესი: Тифлисъ. Въ редакцію „Театръ“.

ქართული თეატრი

დღეს, კვირას, 11 მაისს

არტისტება

მ. მ. შინარაშვილს

გამართავს წარმოდგენას

ქართული დრამატული დასის არტისტების დახმარებით

წარმოდგენენ:

I

## ა ღ მ ზ დ ე ლ ე ბ ა

სამ მოქმედებიანი კომედია თხზ ა. მოჩხუბარიძისა

II

ვ ა რ ი კ მ ა ხ ე რ ი ს ა ს

მოღვეილი 1 მოქმედებად.

დასაწყისი 8 1/2 საათზე.

ლირიკული კომედია. \*)

ლიტერატურული ელგია არის გამოთქმა პრაქტიკული ცხოვრებისა, როგორსაცა მოგონი უხატავს ხალხსა, იგი დაიბადა შეიდი ბრძნებას დროს; სალონის ელგეებმა, რამოდენიმე ჩვენს დრომდისაც მოახწია.

\*) იხილე „მეცტერი“ № 18.

მრთს თავის ელგეიაში სალონი უწინდელს თანამემამულეთა უკანონობას ემდურება და აწმკო კანონდებულებას ქებას ასხავს: „ჩვენი ქალაქი ზევისს გარდაწვეტილობით და უკვდავის ღმერთების ძალით არასოდეს არ დაითრუგვინება, რადგანაც ათინას ზევისს ბრძენი ასული ჰმფარველობს. ღიდი ენება მოუტანეს ჩვენს სამშობლო მხარეს ამ უმგზავსა წინამძღოლებმა; ეინ იცის რამდონი მხედარნი, მოქალაქენი ამოაყვლიტინეს მტრების მახვილს და სრულიად მიასუსტეს ხალხის კეთილის ბედის წინ მიმდინარეობა; სრულიად უსარგებლო იყო ის ომი, რომელიც ეხლა იმათ ასტეხეს. მარდა ერთმანეთის პაროფუნლის შურისძიებისა, სხვა სასარგებლო საქმე არა გაუყვითებიათ რა საბრალო გზა დაკარგული ხალხისათვისა, რომელიც მოდის, მოსტირის თავის ბედსა და ეერ უზოვია ისეთი ადგილი, სადაც თავისუფლად ამოსუნთქვა შეეძლოს. მინ იცის რამოდენი ხალხი აიყრა თავის სასშობლოდან და სხვა ქვეყანას გარდასახლდნენ, რადგანაც დაეკარგათ საგანი ცხოვრებისათვის. ამიტომ მე ვაღიღებულადა ვრაცს ჩემს თავსა, მიუთითო ათინელებსა, თუ რამოდენი ენება მოაქვს ქალაქისათვის უკანონობას; როდესაც კანონდებულება იქნება, მაშინ ყოველისფერი თავთავის ადგილას იქნება. იგი სდვენის ბოროტებას, ადარებს ერთმანეთს რამოდენიმე საგანსა და მოვლენას, ამყოთ თავში უკაკუნებს, სთრგუნავს ღარიბ-ღატაკობას, ბოუნდე კაცს ასწორებს, ჩხუბსა და ვაი-ვაგლანსა სპობს. ამ დროს ყველა კმაყოფილია თავის ბედისა“...

მეორე ელევიაში თავის კანონ-დებულებების ხა სიათხედ ლაპარაკობს: «მე ხალხს მივეცი ზომიერი კანონი, მდიდარიც და ღარიბიც ერთიან არიან ჩემი კანონის ქვეშ, ორივეს ერთ ნაირი კანონი აქეთ ცხოვრებასი და საზოგადოებაში. არც ერთს არ აქეთ უფლება, ერთმანეთის დაჩაგვრისა და თუ ვინცობაა, რომელიმე მათგანმა ვისმეს შეურაცხყოფა მიაყენა, მაშინ ჩემი კანონი ორივეს ერთ ნაირს სასჯელს აძ ლევს».

მეორე ელევიაში თავის ცხოვრების შესვლულე ბაზელა სჯის: «ღმერთისაგან ნაბოძები სიმდიდრე, კაცს საუკუნოთ რჩება და იზღება, დანაშაულობას კაცის- თვის სარგებლობა არ მოაქვს, რადგანაც ზევსი ყოვე- ლისფრის დასასრულსა, ბოლოსა ხედავს. როგორა- თაც განაწესდის ქარი ღრუბლებს წვიმის მოსვლის დროს მოუსწრაფებს ხოლომე, ამისავე მაგვართ ღმერ- თი — შურისძიებას, მხოლო ზოგს გვიანა სჯის და ზოგს კი აღრე. ღმერთის წყევსა საშვილიშვილოდ ვა- დადის და საბრალო უსუსური, უმანკო შეილები იხ- დიან თავიანთ წინაპართა სასჯელს»...

მიმწერმა ელევია დასწერა, რომელშიაც ითხოვე- და, რომ სამოციის წლისა მომკვდარიყო უაუადმყო- ფოდ, ერთბაშად და უტანჯველად, სალონი არ დაე- თანხმა ამ აზრს და შემდეგის სიტყვებით მიმართა: „უარ ჰქავ ეგ აზრი, რადგანაც ის უფრო უკეთესი იქნება ახალგაზრდები დაეიხორცნეთ, რომ მეკობრეებს ცრემლი და მწუხარება დაუტოვოთ.“

მიმწერის დროს ელევია ლირიკულს ხასიათს იღებს. სიბერის დროს იმან შეიკვარა ერთი ახალგაზ- რდა ქალი, რომელსაც ფარვანასავით თავს ევლებოდა და სიყვარულს დამღვრიდა, აი იმისი პრინციპი:

„შბედურია სიცოცხლე უსიმზიარულოდ და უსიყ- ვარულოდ; ჰბუყობა ბედნიერი დროა, მხოლო სიბე- რე კი სიკვდილს წაავებს. რა არის სიცოცხლე და უტკბოვსობა, თუ კი ჩემი ოქროს აფრადიტას ვერ შეუყავშირდები. სიკვდილი სჯობია უიმისოთ სი- ცოცხლეს. დრო ელვასავითა ჰქრება და დგება ღა- ტაკი სიბერე; ჩვენ ვკარგავთ სილამაზეს და თითქმის თვითონ მზის სხივებიც კი აღარ გვახარებენ, ყმაწ- ვილები ახლოს აღარ გვიდგებიან და ახალგაზრდა ქა- ლები დაგვიციან. აი ამისთანა შემადრწუნებელს წუ- თათ შეუქნია ღმერთს სიბერე»...

ამისთანავე ხასიათის ელევიაებსა სწერდა სიმო- ნიდი, ხიოსიდგან, (გარდაიცვალა ოთხას სამოცდა ცხრაში ქრისტეს დაბადებამდის) რომლებშიაც უფრო იხატება მწუხარება და კავშირი. იტალიელები ისე უყუ- რებდნენ ელევას, როგორც სამწუხარო სიმღერას.

იტალიელმა მგოსანთ დაიწყეს თავიანთ აზრებულნი სამშობლოს მგლოვა და ყოველ იმათ ლექსებში რაღაც მომჯადოებელი იდუმალი, მწუხარებანი იხა- ტებიან, რომელნიც კაცს უღვიძებენ პატიოსნურს გრძნობას, უერთარებენ ესტეტიკურს გრძნობას. მა- გალითად ავიღოთ გამოჩენილი იტალიელი მგოსანი ლეოპარდე, რომელიც მაღლა მთაზედა სდგას და ღრმით ჩაუიქრებული, გატაცებული წარსულის ნეტა- რებით დასტირის დღეს მტრებისაგან აზრებულს იტალიას. მართლაც რა სურათს წარმოადგენდა იმ დროს იტალია, როდესაც ქვა-ქვაზედა აღარ დააჩინეს მოსისხლე მტრებმა და სრულიად ააზრეს, ერთხელ აყვავებული ქვეყანა. მის არ გაუღვიძებს მწუხარების გრძნობას ეს სურათი, ვის არ აატირებს ცხარის ცრემ- ლით, როდესაც მოიგონებ, ვინ იცის, რამოდენი ხალ- ხი ამოიყუჟა და შთაინთქო საუკუნო სამყაროში. ვინ იცის რამდანი სიყვარულისაგან გატაცებულნი მიჯ- ნურნი გარდახვევულნი დაიწვენ თავიანთ სარეცელზედ, როდესაც სასახლებს ცეცხლი მოუყიდეს მოსისხლე მტრებმა. აი ეს მომზიბლავი სურათი ავანდება ლეო- პარდეს და მწუხარის ხმით ჰმართავს:

\*) სამშობლოვ ჩემო. ეხედამ შენს კედლებს ჩა- მონგრეულთა, მხედავ ბაღებსა, კოშკ-ნანგრევთა აზრებულთა, მხედავ სამკაულთ, ციხე პალატთ მივიწყებულთა, რას უმშვენიებდა იტალიას ყოველ მხარესა!..... მხლა მის შუბლი, მისი მკერდი ვაღვლილია, მაგრამ, ვაგლახ მე! ის ბედკრული დაკოდილია! წყლულით მოცული, სისხლის ზღვას სცურავს! შუესკრულსა იმთქმის მშველელი არ ჰყავს! ბასაოცარო დედაკაცთა სქესთა ქმნილებავ?! რამან შეშალა, ტყვეთ მიეცა წრფელი ქმნილება?! მე აწ მივმართე; დედამიწას და მაღლა ცასა, ჩემის მხურვალეს ლოცვებითა, მითხარი, მიანბეთ!! მინ და როგორ შეურაცხვეთ ნაზი ქმნილება?! და ვინ დატირთა უწყალოთა, მძიმე უღლითა? მხლა მიწას ზის ნაღვლიანი შემინებული, და თმა გაშლილი, გაწწილი განდლიი არი! მეტის სირცხვილით თავს იმაღლავს ორ მუხლთა შუა და სტირს უწყალოდ, იმტერებს ხელებსა! დეე! იტირე იტალიავ, აზრებულნი წელში მოხრილი, ოუმც ერთს კეთილს დროსა ხელთა გეპყრა მთელი ხმელეთი, ოვალთა შენთავან, რომ იდინოს ორმა წყარომა, მაინც იმ ტირილს, იმა სირცხვილს ვერ მოანანებ შენს დროებასა!

\*) იხილე შერის ისტორია ნაწ. 2.

მს დაცემული იტალიის ჩაღის ტრიალი,  
 იმ წამს მესწლება ვარდისავეთ წარსული ქაშნი;  
 მაგრამ გაუქრა ის ლამპარი ცბიერებისა  
 და აყუდა მის ნაგეერ კეცი თიხისა....  
 და ვინ მოგხადა, თავს გვირგვინი იტალიის ბედი?  
 მინ შეგირაცყო? ვინ მოგხადა ბაგეთ პორფირი?  
 მითხარ, მიამბე, როდის და როგორ,  
 შენ გაღმოვარდი ამ უძირო უფსკრულსა შიგან,  
 რომელ მკაცრ შფოთში შეესწარი აგრე უძღურათ,  
 რომ ამ საზარო, აღუწერელს უფსკრულსა სტურაე?!  
 ოხ, ღმერთო ჩემო! აღეგრძევი სისხლთ მღელღარებაე,  
 ამ სუსტს, გაჟინულს და დაცემულს მგოსანის მკერდას!!

მეორე ელეგია მოგვყავს ელაცა უცნობი სა-  
 ბერძნეთის მგოსანისა, რომელიც საშინელს გულის  
 მღელღარებას ხატავს.

არ ვიცო, რისთვის მიკენესი გული ობოლი, ტანჯული?  
 რა უნდა, რასა იგონებს, ვის ელის აღლევებული?  
 ხან ესტირი ღამის წყვილაღში, თვალთ მელანდება  
 აჩრდილი,  
 მეთრის სპეტაკით მოართული, ვით სხივი გაბრწყინე-  
 ბული,  
 თავს მადგა რალაც ნაზის ხმით ყურში მერჩურჩულებაო:  
 „ღამშვიდი, ცრემლი მოიშრე, კულაე გელირსება  
 ლხენაო“. . და სხე.

შემდეგში ჩვენი თანამედროვე მწერლების ელე-  
 გები მოვიყვანოთ და დანარჩენს ლირიკულს პოე-  
 ზიის ელემენტზედ მოვილაპარაკოთ.

ა. კაუოელი.



ახალი ამბები

◆ იმ ბოლგარის ივერიის მღვთის მშობლის  
 ქართულ-სტუტური წარწერა, რომელიც ამას წინეთ ალ.  
 ცაგარელმა გააჩია და რუსულათ გადასთარგმნა, (ეს  
 გადათარგმნილი პეტერბურგის რუსულს გაზეთებშიაც  
 დაიბეჭდა და თფილისის გაზეთებშიც გაღმობეჭდეს)  
 ახსნაში დიდი შეცდომა აღმოჩნდა. შეცდო-  
 მა შეეხება იმას, რომ ცაგარელს ძველი წარწე-  
 რის ქორონიკონი ვერ გაუჩრეცია ხეირიანათ. ამ  
 ხსენებული მღვთის-მშობლის ხატის გაჩრეცა ამ  
 ორი წლის წინეთ ერთმა მოგზაურ ფოტოგრაფმა  
 გადაიღო და თბილისში ბ. დ. ბაქრაძეს წარმოუღვი-

ნა. ეს გადაღებული ახლა ხანს ბაქრაძემ განარჩია და  
 ცაგარელის ახსნას შეუდარა და შიგ დიდი შეცდო-  
 მები ჰპოვა. ამის შესახებ ბაქრაძემ კავკასის არხეო-  
 ლოგიურს კრებაზე წერილი და ახსნაც წაიკითხა.

◆ წერა-კითხვის სამართველოს, საყმაწვილო  
 წიგნის „რობინზონის“ ბეჭდვა უფე გაუთავებიათ და  
 მალეც გამოვა გასასყიდათაო. ფასი ექვსი შაური და-  
 უღვიათ

◆ ჩვენ მივიღეთ მეორედ გამოცემული მცხის  
 ამბავი, თავმ. ბ. შარაშიძისა. დაბეჭდილია პირველს  
 გამოცემაზე სუფთათ და ლამაზათ. ფასი 15 კაპ.

◆ ჩვენ შეგეტყობინეს, რომ წელს საყმაწვი-  
 ლო სახელმძღვანელო წიგნი „ღვინა“ ახალად  
 იბეჭდება, ახალი სურათების დამატებით. დასაბეჭდად  
 დანიშნულია 20,000 ათასი ეგზემპლიარი.

◆ თბილისის სამოქალაქო სამართველომ ამ  
 ბოლოს დროს დიდი ყურადღება მიაპყრო იმას, რომ  
 თეატრის აფიშებს ქუჩაში სხვა-და-სხვა სახლის კედ-  
 ლებზე არ აკრავდენ და მით არ თხუზნავდენ კედლებ-  
 საო. ამის ასაცილებლად სამართველომ ოთხ-კუთხი  
 სვეტები გააკეთა ამ ბოლოს დროს და დღეს ამ სვეტებზე  
 აკრავენ აფიშებსა. ამაზე უარეს ბინძურობას მთელი თფი-  
 ლისისთვის ის შეადგენს, რომ ყოველი ქუჩა სველია  
 და აყროლებული გამეღელ-გამომეღელ ხალხის შარდი-  
 სავან. კორპუსის ეკლესიის სამრეკლოს ზემოღამ ისეთ  
 ნაირი ბინძურობა არის და იქ ისე ყარს ხალხის შარ-  
 დისავან, რომ თუ კაცმა ცხვირზე ხელი არ მიიფარა,  
 სწორედ შეყნოსავაც კი საშინლათ გაუჭირდება.

მგონი რიგია, რომ ამას უფრო სასტიკი ყუ-  
 რადღება მიეპყრას და ხალხისათვის ფეხის ადგილები  
 გაკეთდეს.



საბუნკულია... იამა  
 ბუჩქს დაუშვენა ძირია,  
 ნორჩის ბალასმა მწკანკათა  
 შემასა მინდგრის შირია.

გარდისა ბუჩქა კოკრითა  
 მოღაღ შეიმოსა ტურფადა,  
 წყარო, მაღალი მთიდგანა,  
 გადმოსჩქეფს სასაიურადა.

ხეხუდა ტკბილი გალობით  
 ბუდეს ზგებუნ შაშუკი,  
 და ჩირგვის ძირში სიმღერით  
 იასა ჭკრეფუნ ხაშუკი.

თეატრის მუშა



წერილი სოფ. საგარეჯოლბან.

(დასასრული \*)

ჩვენ გვაქვს ამხანაგობის წესდება, რომლითაც უნდა ვებღმძღვანელობდეთ. მაგრამ მით არა თუ მართლა ვებღმძღვანელობთ, არამედ იგი სრულადად მიტოვებულია საქმის აღებ-დაღებაში. პირველს ერთს წელიწადს კიდე ჰო; კასირს კასირობა ეტყობოდა, საქმის მწარმოებელს საქმის მწარმოებლობა, რჩევის წევრთ საქუთარი დანიშნულება და სხ. მაგრამ შემდეგ აი აქამომდე ბ. ცხედაძე ერთსა და იგივე ღროს თითონ კასირიც არის და საქმის მწარმოებელიც. ისე ყრილობა არ მოხდარა, რომ მ. თევდორე ბულისაშვილს არ ეთხოვნოს ყრილობისთვის: თავი გამანებეთ, მე გამგეობას ვერ გიწევთ, ჩემს საკუთარს საქმეებსაც ვერ ავღივარ და პასუხის გებაში კი ვარო. მართლაც და წელიწადი ისე გაივლიდა, რომ ერთხელაც არის არ ჩაიხედავდა კასაში, ანუ როგორ მიდიოდა საქმის წარმოება. ხალხი კი ერთხმად ისევე იძახდა თევდორე ბულისაშვილი იყოსო, თითქო ამით კიდეც ასიამოვნებდნენ; და თავის უნებურად ეს უკანასკნელი ხელახლად მოექცეოდა განაჩენში, მითომ კენჭიც უჯარეს და კვლავისთვისაც ამოიჩივის.

შემდეგ წესდებულების ძალით ხუთი კაცია ამორჩეული ზედამხედველს კომიტეტში, რომლებიც ვალდებულნი არიან შეადგენს თეიური და წლიური ანგარიშების გადათვლიერება და შემოწმება, ღირსეული ამხანაგების მიღება, ბანკისთვის ვალის აღება, ვინიცობა და ეკირება იგი, კასის ღრო გამოშვებით შემოწმება და შემოსავალ-გასავლის დაეთრებთან შეფარდებას და სხ. და სხ. მაგრამ ან ერთხელ შეუმოწმებია ვისმეს კასა, ან ერთხელ უანგარიშნია ვისმეს? მრ-

თის სიტყვით მთელს ამ ხანებში ბანკის ყუთი ფულით, დაეთრებით და სამივე გასაღებებით ამ ერთს კაცს ეკავა ხელში. აკლდა რამე, თუ ემატებოდა ამისი მკითხველი არაინ იყო და თუ კრინტს დასძრავდა ვინმე და ოღნაც არის ექვს შეიტანდა მასში, ვაი იმის ბრალი. მხოლოდ ამ უკანასკნელს ხანში მ. დ. ბერძენოვა და ბაბ. ბულისაშვილმა, ზედამხედველ კომიტეტის წევრთ, ცოტა არაა, რომ მიაკციეს ყურადღება ანგარიშს. მსენიცი დაეთრებიდგან კი ანგარიშობდნენ და კასას კი არასოდეს არ ამოწმებდნენ, რომ სინამდვილე შეეცყოთ. იმას კი ცხადად ატყობდნენ, რომ ფული კასაში მხოლოდ თითო-ოროლა თუმნობით იყო ხოლმე. წარსულის წლის ანგარიშიდგან აღმოჩნდა, რომ 1-ლს იანვარს 1886 წელს კასაში უნდა ყოფილიყო 101 მანეთი 80 კაპ. ერთმა ამხანაგთაგანმა შენიშნა: იყო მართლა, რომ ამბობთ უნდა ყოფილიყო, თუ არა? დ. ი. ციციშვილმა და მ. ბულისაშვილმა სთქვეს, რომ 3-ს იანვარს გავიწიჯეთ კასა და არ იყო. დანიშნეს სამი კაცი გამოეძიებინათ საქმე, ყრილობა კი გადასდეს. ამ სამ კაცში მოკვეყვი მეც. გადავთვალე ერთ დაეთრები, მაგრამ პირველ იანვრიდგან ექვსამდის არსად რა იყო ნახენები არც ერთი კაპეიკი, არც შემოსავალში და არც გასავალში. იქნება მართლა კიდეც იყო. მაგრამ ის ფული შეუძლებელია, რომ ბანკისა ყოფილიყო, წინამდევს შემთხვევაში ერთგანაც უნდა წერებულყო გასავალში, მაგრამ ამას კი მთელი ერთი კვირა არაფერი ჰქონდა ნაწარმოები დაეთრებში. ჩვენ მოგვანდეს ანგარიში, და არა მკითხაობა, რომ შეგვეტყო ვისი რა იყო 1-ს იანვარს. აქვე გამოუტყდი ბ. ცხედაძეს, რომ მას მიეცა ხელ-წერილი ჯერ ისევე წარსულის წლის ნომერში მ. თევდორე ბულისაშვილისთვის, რომ უნდა ბანკის კასილამ მიიღო ჩვიდმეტი თუმანი თავის ფულის სარგებელიო. ეს ფული ც—ძეს გასავლის დაეთარში ჰქონდა მოხსენებული. ერთის სიტყვით აქ არ აღმოჩნდა არც 101 მან. და 80 კაპ. და არც ჩვიდმეტი თუმანი—სულ 271 მანეთი და 80 კაპ. ც—ძე ახირდა დაეთრებიდგან იანგარიშეთო. კაცისთვის რაც ბანკი დაარსდა ერთხელ არავის უანგარიშნია და ჩვენთვის ხელ-და-ხელ განა შესაძლებელი იყო ეს. რო გაჭირდა საქმე და აღარ გვეშვებოდა, ათი წამის განმავლობაში შევკვეცეთ მისივე გამოყვანილი თეიური ჯამები და მეტიც გამოვიდა. კიდეც იმიტომ იყო ისე ახირებული გინდათ, თუ არა დაეთრებიდგან იანგარიშეთო. ან ეს 101 მან. 80 კაპ. რომ თითონ მას არ ეჩვენებინა, განა კი ვინ იყო მოდავე.

\*) იხილე „თეატრი“ № 18.

მს ერთი უთანხმოება სრულიად საკმარი იყო. ცხვედაძისათვის, რომ აეკლო იქაურობა, არ შემოიძლიან ლ. ბულისაშვილთან ერთად დაწარმოეთ ბანკის საქმეო, თუ არა მ. თვედორე ბულისაშვილთან და ნიკ. ჭურდაშვილთანაო!.. მე მისურვა ხალხმა, მე მომენდო და ის კი უარს ჰყოფს. აი რამდენად პატივს სცემს ეს თვით მოწოდებული მეფე საგარეჯოსი საზოგადოების აზრს! თუ არა დამერწმუნე ბ. ც—ე, რომ თქვენც კი რომ გესურვებინეთ მაინც უარს გყოფდით ამორჩევაზედ. ხომ მოგვხსენებთ ქართული ანდაზა: „ნაბიჭვარსაც მონათელა უნდაო“,—მართალია არა ვარ დიდი სარჩოს პატრონი, მაგრამ ერთი პატარა ოჯახი მეცა მაქვს, რომელსაც ჩემი თავი ძრიელ ესაჭიროვება და აბა გკითხავთ: სახელს მომცემს თითქმის მუდამ დღე თქვენს ბანკში ტანტალი და საკუთარის საქმის კი დაცარეა?... ათს წაშში, როდესაც ჩვენ სამი კაცი უანგარიშებდით მას, სწორედ ათ ჯერ ძლიერ-ძლიობით დავაშოშმანეთ. ახში გულმა კვლარ დაუტია და პატიოსანი ცხვირი დამაგაზა... .

წინა ყრილობა, როგორც მოგახსენეთ, 21-ს თებერვლისა ჩაიშალა, რადგან სამს პირს მოგვანდეს გაგვეგო ნამდვილად აკლდა ფული კასას, თუ არა და ხელ-მეორე ყრილობა გადიდა 2 მარტისთვის. დანიშნულს დღეს იგი კიდევ მოჰხდა, მაგრამ ისე კი, რომ მასზედ არ დასწრებია არც ერთი ნინოწმინდელი, არც ერთი ახბულახელი, არც გიორგი-წმინდელი, არც ბერთუბნელი, პატარაძეულები და არც ხაშმელი, გარეჯელებსაც გაეგათ მხოლოდ იმ დღეს დილით სოფლის გზირების პირით, ისიც რასაკვირველია ყველას არა. თვით განაჩენზედ უწერიათ ხელი მხოლოდ ცამეტს კაცს, თუმცა ამხანაგობაში ითვლებიან 700-დის. ეს იმისგან მოხდა, რომ უწყებებები არავის მოჰსვლია და თუმცა ზოგიერთთ კიდევ ეიცოდით, მაგრამ ჩვენთან ერთად ორი სამი გვარეულობა, რომლიდანაც შესდგება აქაური ინტელიგენცია, იძულებული იყო ყრილობაზედ ვერ დასწრებოდა, შინაური უბედური შემთხვევის გამო. მართის სიტყვით, როგორც ბ. ც—ძეს უნდოდა საქმეც ისე მოუხერხდა. თავმჯდომარედაც თითონვე ყოფილიყო. ჩვენ ეთხოვთ ანგარიშს, ის-კი ჯდება თავმჯდომარის სკამზედ და თავის თავს თითონვე ართმევს ანგარიშს. ამის შემდეგ განაკიდე ვისმელა ხმა ამოეღება, რომ ჩვენა გვაქვს წესდებულება და მითი ხელმძღვანელობითა? ყრილობაზედ თურმე ერთი მეორეს არ აკლიდა: ვისაც უნდოდა თავის თავს გამეკ კომიტეტში ირჩედა, ვინ რჩევისაში და სს. ეს ყრილობა მთელი ხალხის სასაკილო და სალაპარაკო შეიქნა. ჯერ უიმისოდაც ზედამ-

ხედველი კომიტეტი თავს არ იციებდა და ეხლა ხომ მითომ არც-კი ყოფილა იგი, ისე უნდა ჩავთვალოთ. გამგეზიაც იმავე ც—ს ნ. ჭურდაშვილია და ერთიც თანამოაზრე ავეტიქა.

ჭრილობა რომ თავდებოდა, მამასახლისი მეზერევილი მიუბრუნდა ხალხს და ცხვედაძეს ქება და ღიებდა შესხა და გაათავა იმითი, რომ წლევეანდელი მოგება ჯამაგირს გარეშე სამოცდა სამი თუქანი და ქქესი მასკით ამოდენა შრომაში ვაჩუქოთო. ნაცვალმა კანდიდატმა, ხარჯის ფულის მკრეფავმა და ორიოდ ნათლია სეინამ ხმა მისცეს. მითონ ც—ეც. ეუბნება ხალხს: «ვისაც არ გინდათ ეს ფული მაჩუქოთ ადგიტით, ვისაც გინდათ და ისხედით» ხალხიც ალაგიდგან არ დაძვრილა.

მართის სიტყვით ცხვედაძემ გაიმარჯვა და წამსვე დაიწყეს განაჩენის წერა. ეხლა ყველა სოფლებიდან თხოვნებს ამზადებენ ხალხის ხელის მოწერით, რომ 2 მარტის ყრილობა უკანონოა და არ ეთანხმება ხალხის სურვილს და თხოულობენ სხვა ყრილობის დანიშნას. აი თუ აპატიებენ, მაშინ კი შეუქლიან ბ. ცხვედაძეს ხმა მალლა სთქოს: თქვენ გშურთ მე რომ მაჯილდოებენ და იმისთვის ჰჭინჭრობთო. უეკველია ჩვენც ქედს მოვიხდით და სხვებთან ერთად უმდაბლესად თავს დაუკრავთ.

ზოგიერთნი, გაჯერებულნი ამ გვარის თავხედობით, უკვე გამოვიდნენ ამხანაგობიდან და მ. თვედორე ბულისაშვილმა გამოუცხადა შესანახავად შეტანილის ფულის გამობრება. ამ უკანასკნელს რამდენიმე ასი თუმანი აქვს შეტანილი.

დ. გულისაშვილი.

ქართული თმატრი

სამშაბათს, 6 მაისს, დრამატიულმა საზოგადოებამ იღვასაწაულა მეორმოცდაათე წელიწადი ზოგოლის უკვდავი კომედიის რეკვიზორის პირველად სცენაზედ დადგმა. წარმოდგენილი იყო მე-2 და მე-3 მოქმედება რეკვიზორისა. წარმოდგენის წინაღ, როგორც კი აიხადა ფარდა, მაყურებლებს შემდეგი სურათი წარმოუდგა: სცენა მშვენიერად იყო მორთული, სცენის ერთ ამალღებულ, წითელის მაუდით დაფენილს და ყვავილებით მორთულ ადგილზე ზოგოლის სურათი იდგა. სცენაზე იდგნენ არტისტები, დრამატიული საზოგადოების წევრნი და ჩვენი ნი-

ქიერი პოეტი ა. წერეთელი. ყველა ამათ ეპირათ  
 ხელში დაუნის გვირგვინები. სურათის წინ წარსდგა  
 ღრამატიული საზოგადოების წევრი ნ. ავალიშვილი  
 და წაიკითხა წერილი ბატ. ზოგოლის მნიშვნელობა-  
 ზე რუსეთის მწერლობაში, მერე ვ. თუმანიშვილმა  
 წაიკითხა რუსულად ბ. თხორაყევსკის ლექსი, ამ შემთ-  
 ხვევისთვის დაწერილი. ამის შემდეგ აკაკიმ მშენიე-  
 რათ წაიკითხა თავისი ჩინებული ლექსი, რომელმაც  
 მთელი საზოგადოება აღტაცებაში მოიყვანა. აი ეს  
 ლექსი:



ოღესაც უგნურებს,  
 გაბერილსა დიდებს  
 ყოველ-გვარ სძაგლობას  
 და ცრუ ჭკუშმარტებს.....

როდესაც ცრუ-მოკსნები  
 აღიებდნენ ცრუ-ღმერთებს  
 და მით ფარასკვლობა  
 თამამად ისხამდა ფრთებს,

მაშინ გაისმა ხალხში  
 ხმა, რადაც უბეულო  
 და იმ ხმამ კიდიო-კიდე  
 ეღვასავით შემოკლო...

შეკრთა მოულოდნელად  
 მით მხაგვრელების კრება  
 და გამოფხიზლდა უნდად  
 მტრისარე უმეტრება.

რა ხმა იყო, ნეტავი,  
 ყოველ-ხმაზე ძლიერი,  
 რომელმაც ციურ-ძალით  
 სცვალა ცნობრების ფერი?

ის ხმა იყო ამ კაცის  
 უცნაური ხარხარი!  
 ჩაგრულეთა „ხალსინო“  
 და მხაგვრელების „ზარი“.

თურმე ამან ნაღველი  
 ცრემლებში გაიღვსა  
 და გულში ჩაიგუბა,  
 სთქვა: „წამლად მსურსთ ესა!“

სიცილით ამოქანდა  
 წვეთ-წვეთად ის წამლი,  
 რომ დაბრძოლებულის  
 აესილა მით თვალნი.

ეუცხოვით სნეულეს  
 უბეულო ფიალი,  
 როს ძალა-უნებურად  
 შესვეს მათ ის წამლი.

და მაშინ კი გაიგეს,  
 რომ ის, ვისაც სძაგვანდნენ,  
 ბოროტებს სწამებდნენ  
 და უგულოდ ჰსასავდნენ,

თურმე კარგი ყოფილა  
 კეთილ-განძნისვით სრული  
 და მისი ნაღველ-გესლი—  
 უხომო სიყვარული.

თავიანი სტეს საეროდ  
 მის ძლიერ მოვლინებას  
 და ჩვენც დღეს ჰატევის ვსტემით  
 მის ნიჭს და სელავებას.

სელოვებსა არა აქვს  
 საკუთრება... სამზღვარი!“  
 ის ყოველ-ხალსს ეკუთვნის,  
 ვით ყველას მაცხოვარი.

უცხო არც ჩვენთვის არის  
 „რევიზორის“ შემთხვეული—  
 და თავსეუდ გვირგვინს ადგამს  
 ქართლში ქართველთა სელი.

წერილის და ლექსების წაკითხვის შემდეგ გო-  
 გოლის სურათის ქვეშ გვირგვინები დააწყეს და ამით  
 გათავდა აპოფეოზი. შემდეგ დაიწყეს წარმოდგენა.  
 არც წარმოდგენამ ჩაიარა ურიგოდ. გოგოლნიჩის რო-  
 ლი ითამაშა სტენის მოყვარემ ბ. ანტონ ლორთქი-  
 ბანიძემ და რიგიანათაც ასრულა. ამ წარმოდგენაზე  
 ხალხი ძალიან ცოტა დავსწრო.

«თეატრი»-ს კომპოზიციონერი.

ფოთი, (6 მაისს). ძვირას, 4 მაისს, ჩვენს კლუბ-  
 ში იყო წარმოდგენილი, ქართული სტენის მოყვა-  
 რეებისაგან, ორ მოქმედებიანი კომედია «მე მინდა  
 კნინა გავხდე» და ვოდვეილი «კატა აწონა».

ძღუბის ზალა თითქმის სავსე იყო ხალხით,  
 თუმცა ეს ძალადატანებით იყო, რადგანაც ბილე-

თებს ძალათ ჰყიდენ, სხვა-და-სხვა პირები. წარმოდგენამ სამწუხაროდ ძრიელ უფერულად ჩაიარა. მოთამაშებმა სხვა ნაკლულევიანების გარდა თავიანთი როლებიც არ იკოდნენ.

ამ წარმოდგენამ ისეთი ცუდი შთაბეჭდილება იქონია დამსწრე საზოგადოებაზედ, რომ თუ კულავაც ასე დაუდევნელად და უწნოთ გაიმართა წარმოდგენები, მაშინ თქმა არ უნდა, რომ სრულიად შეაძულებენ ხალხს სპექტაკლებზედ დასწრობას.

როგორც ისმის აპირებენ წარმოდგენას ქართული წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ ის პატრეცემული პირები, რომლებიც წარსულ წლებში მართავენ წარმოდგენებს და უფრო დახელოვნებულნი არიან ამ საქმეში.

ღიდალ სასიამოვნო იქნება, რომ ეს აზრი რაც შეიძლება ჩქარა მოიყვანონ აღსრულებაში, რადგან დიდი ხანია ქართველი საზოგადოება რიგიან წარმოდგენაზედ არ დასწრებულა.

ფოთელი.



### უ ე ლ ე ტ ე ნ ი

#### აბაზაძე და მახვილაძე

მეთვრამეტე საუკუნეში, მეფის ოციმურაზის დროს, ზემო ქართლს დაეცნენ სპარსები და ალაოზრეს მთელი მხარე, სხვათა შორის სურამის მახლობელს მდებარე ერთ სოფლიდამ რამდენიმე აზნაურის შეილებიც წაიყვანეს ტყვეთ, ამ წაყვანილებში ერთი აზნაური აბაზაძეც რეულა. სპარსეთში ჩაყვანის შემდეგ ზოგი სპარსეთის ყეინისთვის მიურთმევიათ სასახლეში ფეშქაშათ და ზოგნიც სხვა-და-სხვა ხანებისთვის, სარდლებისთვის დაურთმევიათ. სხვათა შორის აზნაური აბაზაძე ყეინის სასახლეში დაურთმევიათ... იმ დღიდან აბაზაძეს დაუწყვია მეცადინეობა, რომ როგორმე ყეინის კარიდამ განთავისუფლებულიყო და საქართველოში დაბრუნებულიყო. ამ ოცნებებით საესე აბაზაძე ხშირად სთხოვდა ხოლმე ყეინს, რომ გამანთავისუფლო, მაგრამ ყეინისაგან ყოველთვის შეუწყნარებლად რჩებოდა.

აბაზაძე დარჩა სპარსეთში. ამის იქ ყოფნის დროს, ისარგებლა მისმა მეზობელმა აზნაურმა მახვილაძემ. ამ აზნაურის შეილობა მეფეს მიართო თხოვნა და განუცხადა აზნაური აბაზაძეს მოტაცების ამბავი. ბოლოს დამტკიცებითი დაუმტა, რომ აბაზაძე იქ მომკვდარა, იმისაგან დატოვებულს მამულებს მე ვი-

ცადიო, მტრებისაგან მე გადავარჩინე და ამიტომ გთხოვ, რომ მისგან დატოვებული მამული, ყმები და სხვა ყველაფერი მე მაჩუქოთო. მისმა სახლი კაცის შეილებმა ხელი არ მოჰკიდეს მას, აქამდის მე განვაგებდიო. აბაზაძის სიკვდილის გამო, მეფემ დარწმუნებითი ცნობები მოსთხოვა იმის შესახებ, რომ აბაზაძეს სიკვდილი სინამდვილით დაამტკიცონო, რომ ის მართლა, მოკვდა და მისი შეილებიც არა ჰპატრონობდნენ, არ უვლიდენ მის მამულსაო. ამის დასამტკიცებლად ქეშმარიტი მოწმები მოიყვანე, იმათ დაამტკიცონ ესა და შემდგომ ადვილია, რომ იმის მამულზე შენ დაგასახლოთო. მეფის ამ გვარი პასუხისა და წინადადების შემდეგ, მახვილაძემ თანხმობა განუცხადა მეფესა და უთხრა, რომ დღესვე წავალ და ხელზე მოვიყვან აქ მოწმებსაო. მახვილაძე წავიდა თავის სოფლისკენა, იქ იმან იმოვნა რამოდენიმე თავისაგებ ზნეობა წამხდარი პირნი, დაქრთამა ესენი და სთხოვა, რომ მეფესთან წამომყევით და მიმოწმეთო. მოწმად არჩეულმა პირებმა ფიცი მისცეს, თანხმობა განუცხადეს, რომ ყოველივეს ისე დავამტკიცებთ, რომ ვითომც ჩვენ ჩვენის თვალით გეინახამსო. მეორე, მესამე დღეს მახვილაძე თავის ცრუ მოწმებით წამოსულან მეფესთანა. მეფეს მიუღია ყველა ესენი. მიღების შემდეგ თითო - თითო მოწამე შეუხმიად და მეფეს უკითხავ ყოველივე დაწერილებით, თუ იმან რა იცის აბაზაძის სიკვდილისა და მამულის დარჩენის შესახებ.

პირველმა მოწამემ დაუმტკიცა, რომ ყველაფერი მართალია, რაც მახვილაძეს უთქომსო. აბაზაძე რომ ტყვეთ წაიყვანეს, მეც ტყვეთ ვიყავ წაყვანილიო, სადაც აბაზაძე იყო, მეც იქ ვიყავი, მისი სიკვდილი მე ჩემის თვალთ ვნახე. მას შემდეგ ავერ ეს ოცდახუთი წელიწადი იქმნება.

— შენ როგორ განთავისუფლდი? ჰკითხა მეფემ.

— მე, დიდებულო მეფეო, ვერ განთავისუფლდებოდი, მაგრამ, შაჰის, ერთხელ ძვირფასი თვლები დაეკარგა და ის თვლები ჩემდა საბედნიეროდ მე ეიბონენ და მაშინათვე წარუდგინე. ამის გამო ყეინმა ისურვა ჩემი განთავისუფლება და საქართველოში მოსვლა. მეფეს ესიამოვნა ეს. შემდეგ ისიც შეატყობინა, რომ მე აზნაურის შეილი ვარო.

მეორე მოწამესაც ასევე დაუმტკიცებია, რომ აბაზაძე მოკვდაო, იმის მამულებიც ოხრად დარჩაო და შემდეგ მახვილაძე დავპატრონა და ყოველისფერს დაუწყო შემუშავებაო. როგორც მეორემ აგრეთვე მესამე მოწამესაც ასევე დაამტკიცა. მეფე დარწმუნდა და ბოლოს ინება მამულების ჩუქება. დასამტკიცებელი ქალღი მისცეს, ზედ მეფემ მოუწერა ხე-

ლი, სამეფო ბეჭედი დასვა და შიგ დასამტკიცებელს წერილში დაწერილებით მოიხსენეს აბაზადის ამბავი, მახვილადის და მისის მოწმებისა. ამის შემდეგ მახვილადე დაბრუნდა თავისკენ და აბაზადის მამულებს დაუწყო პატრონობა და გამგეობა. ხალხშიაც ის გავრცელდა და გამოიკვია, რომ აბაზადის მამული მეფეს მახვილადისთვის დაუმტკიცებიაო.

რამდენიმე ხნის განმავლობაში, მახვილადეს ისე მოუხერხებია, რომ აბაზადის მამულებს გარდა მის ყმებსაც კი დაპატრონებია. ყმათ ჯერ კი უარი განუცხადებიათ, მაგრამ შემდეგ-კი დასთანხმებია. ბოლოს ეს საქმე მეფესთანაც მიუტანიათ და მეფესაც დაუმტკიცებია მახვილადისთვის აბაზადის ყმანი. მახვილადემ დაიწყო გამგეობა აბაზადის მამულზე და ყმებზე. გავიდა რამდენიმე ხანი. ამ ხნის განმავლობაში მახვილადემ უფრო გაიმავრა ფეხი და ისაკუთრებდა სამუდამოდ აბაზადის მამულებს. მრთხელ განაფხულის პირზე, მახვილადემ თავის მოყმე ხელოსანთ კალატოზ გლეხებ დაწყებინა კოშკის შენება. ამ კოშკის შენებამ კარგა ხანს გასტანა. მრთ ღღეს, როდესაც მუშები გახურებულნი მუშაობდნენ, ამ დროს, აზნაური მახვილადეც თავზე ადგა და უჩვენებდა მუშებს, თუ ვის როგორ უნდა ემუშავნა, სად როგორ უნდა აეტანად კედელი და სხვანი. ამ გვარის დარიგებით ხშირად წინამასწრობაც იცოდა და ამით მუშა ხელოსნებსაც მეტის-მეტად აწუხებდა. სწორედ ამ დღეს, რომელიც ჩვენ მოვიხსენებდ, მახვილადემ ერთობ გაუტყირა საქმე ერთ კალატოზს. კალატოზი რომ მოთმინებლად გამოვიდა, ბატონს უთხრა მოწყენით:

— მაცალე, ბატონო, და მე ვიცი როგორც ავიტან ამ კედელს.

— შე ძალოო, შენ ვის ეუბნები მავას, მიუგო გაცხარებით მახვილადემ.

— მე, ბატონო, ცული არაფერი მითქვამს, მიუგო კალატოზმა.

ამ დროს აზნაური მახვილადე ისე გაცეცხლდა, ისე აღელდა, რომ წამოავლო ერთ ვეება ქვას ხელი და პირ-და-პირ საფეთქელში სდრუჯა თავის ყმა-კალატოზს. კალატოზს მოხვდა თუ არა ქვა, მაშინაღვე დაეცა დედა-მიწაზე და რამდენიმე ხნის განმავლობის შემდეგ სულიც დალია. მიდრე სულის დაღვედა, ბატონმა მახვილადემ დაუწყო ყვირილი თავის ყმებს, რომ წამოაყენედ და წაიყენედ შინსკენო. შმა-კალატოზნი და მუშანი მიუახლოვდნენ დაჭრილს და წაიღეს შინსკენ. ზოგიერთ მუშათ ისევე განაგრძეს კოშკის შენება. რამდენიმე წუთის შემდეგ აზნაური მახვილადეც განემგზავრა თავის სახლისკენ.

ამ ალიაქოთისა და ბატონისაგან ყმის მოკვლის დროს, კოშკის მოშორებით ერთი მოხუცებული კაცი იდგა და უტკეროდა ამ შემთხვევას. როდესაც აზნაური მახვილადე შინსკენ გაემგზავრა, ეს მოხუცი კაცი მივიდა კოშკის მახლობლივ და იქ მომუშავეთ ჰკითხა თუ ვინა ხართ თქვენ, სადაურები, ან ის კაცი ვინ არის, წელან რომ ერთ თქვენთავანს ქვა დაარტყა თავში და მოკლაო. კოშკთან მდგომ მუშებმა მიუგეს, რომ ეს ჩვენი ბატონი არისო. აქამდის ჩვენ აზნაურის აბაზადის ყმებათ ვიყავით და აგერ ეს ოცი წელიწადი იქმნება რაც ის ჩვენი ძველი ბატონი ტყვეთ არის წაყვანილი და სპარსეთში სცხოვრებსო. ზოგნი იძახიან, რომ ცოცხალიაო, მაგრამ ამ ავმა კი ყველა დაარწმუნა რომ აბაზადე მოკვდაო, თვით მეფეც კი დააჯგრა. ამ გვარის ხრიკებით საქმე იქამდის მიიყვანა და ისე იმოქმედა თვით მეფეზედაც, რომ იმ ჩვენი ბატონის აბაზადის მამულები მთლად ამას დაუმტკიცეს. შემდეგ ჩვენც წამოგვედავა, მაგრამ ჩვენ უარზე დაუდექით. ბოლოს მაინც თავისი გაიტანა და მეფემ ჩვენც გვაყმო მას. იმ დღიდან ამ დღემდის ჩვენს ჯაფრს ჰყრილობს და აი ასე ამისთანა ცეცხლში ვართ ამისაგან ყოველთვის. საქმე რომ იყოს და ერთი რამ სასარგებლო სიტყვა შეუბრუნოთ მაშინათვე სუ ტყავს აგვაძრობს და მიწასთან გავგასწორებს. მს ამბები რომ დაასრულა მუშამ, ამ დროს ამ მოხუცმა კაცმა განარებით წარმოსთქვა და შეატყობინა ყველას შემდეგი:— მე აზნაური აბაზადე ვარ, თქვენი ნაბატონარი, სპარსეთში ტყვეთ რომ წამიყვანეს, ის მე ვარ. აქამდის სპარსეთში ვიყავი, ამ ბოლოს დროს თავი დაიხსენი, ყინმა გამანთავისუფლა და საქართველოში წამოვედი; აი, ღღეს ამოველ აქა და ეს ადგილები ვიცანი კიდეცა და ამიტომ დათვალვიერება დაუწყე აქაურს მიდამოებსა. მაგრამ კარგათ კი ველარ განვასზღვრე და ვერც თქვენ გიცნობთ.

ამ ამბის შემდეგ აზნაური აბაზადე გამოცხადდა თავის სოფელში და გამოაცხადა თავის თავის ამბები. ამ ამბებისა და გამოცხადების შემდეგ აზნაურს აბაზადესა და მახვილადეს შუა ატყდა შფოთები, დავა და საჩივრები შესახებ თავიანთის საქმეებისა და ეს საქმე დღემდისაც სწარმოებს.

რედაქტორი და გამომცემელი გ. აბაშიძე.

Типография Меликова. სტამ. მეღიქიშვილისა.